ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3544275

ნომერი: AR1539223

თარიღი : 11.09.2017

გაცემის თარიღი : 20.09.2017

გაცნობის თარიღი : 21.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 70 , მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/47) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სამსონ ფხაკაძე პ/ნ 01024006897
- ქ. თბილისი, ბროლოსანის ქ. #31, ბინა #12

ორგანიზაცია:
- ვენჯორჯია კოდი: 404885335

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 11 სექტემბრის NAR1539223 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირი N70–ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.01.005.047) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის პარამეტრების გაზრდის საკითხი ანალოგიური დასაბუთების საფუძველზე უკვე იყო განხილული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულიების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 07 სექტემბრის N36 სხდომაზე, სადაც მიეცა უარყოფითი რეკომენდაცია, საკითხის ხელმეორედ განხილვისათვის საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს საბჭოს წევრთა მითითებები: – კოეფიციენტი გადაჭარბებულია, შენობა წარმოადგენს საცხოვრებელს მცირე კომერციული ფუნქციით და არ შეესაბამება ზონის მოთხოვნებს; პარამეტრები მნიშვნელოვნად გადამეტებულია, დასაზუსტებელია მოთხოვნა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფართების პროცენტულ გადანაწილებასთან დაკავშირებით და სხვა.

ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინებით დამუშავებული ქალაქგეგმარებითი დასაბუთების ფარგლებში საკითხი განხილულ იქნება ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულიების საკითხთა საბჭოს სხდომაზე.

მასალა უნდა ატვირთოთ ამავე განაცხადის დახარვეზებულ და საჭიროების შემთხვევაში დამატებით ველებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 11 სექტემბრის NAR1539223 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.